

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 50

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი



მატჩი	თბილისის „ლელო“ - ბათუმის „ბათუმი“		
შეჯიბრი	დიდი 10		
მატჩის თარიღი	08/02/2026	მატჩის ადგილი	თბილისი, ლელო არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია		

დარღვევის დეტალები			
მოთამაშის სახელი	გიორგი	მოთამაშის გვარი	ბოლქვაძე
კლუბი/გუნდი	თბილისის „ლელო“	დაბადების თარიღი	16/02/2005
მსაჯი/საითინგ კომისრი	მატჩის მთავარი მსაჯი - სულხან ჩიხლაძე		
ბინძური თამაში	<input checked="" type="checkbox"/> აღიარებულია <input type="checkbox"/> არ არის აღიარებული	წითელი ბარათი	<input checked="" type="checkbox"/> აღიარებულია <input type="checkbox"/> არ არის აღიარებული
დარღვევა	9.13 მოთამაშემ არ უნდა შებოჭოს მოწინააღმდეგე ადრე, გვიან ან სახიფათოდ. სახიფათო ბოჭვა მოიცავს (და არ არის ლიმიტირებული) ბოჭვას ან ბოჭვის მცდელობას მხრების ხაზს მაღლა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბოჭვა იწყება მხრების ხაზს დაბლა		წითელი ბარათი <input checked="" type="checkbox"/> საითინგი <input type="checkbox"/> სხვა <input type="checkbox"/> თუ „სხვა“ დააზუსტეთ:
საჩუქარი	5 (ხუთი) კვირა/თამაში		

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	11/02/2026	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	დავით შუბითიძე		
კომისიის წევრები	აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქვა, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე		
მოთამაშის დასწრება	კი <input type="checkbox"/> არა <input checked="" type="checkbox"/>	კლუბის/გუნდის წარმომადგენლების დასწრება	კი <input checked="" type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>
მოთამაშის წარმომადგენელი	ოთარ პაქსაშვილი	სხვა დამსწრეები;	

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 50

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი

მოთამაშის კლუბისთვის/გუნდისთვის განხილვამდე მიწოდებული დიკუმენტაცია	წითელი ბარათის ოქმი
---	---------------------

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები

(მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მთავარი მსაჯის- სულხან ჩიხლაძის, წითელი ბარათის ოქმი - მატჩის 78 წუთზე (რაგბი ტვ 80:00 +) შეტევაში იმყოფებოდა რაგბის კლუბი ბათუმი ცენტრის მიდამოში კერძოდ ზურა ნინიძე N23,მას დაცვის მხრიდან ბოჭვაში დაუხვდა N14 გიორგი ბოლქვაძე,მისი მხრიდან ბოჭვის ტექნიკა შესრულდა დარღვევით,ის იმყოფებოდა გამართულ პოზიციაში რის შედეგად კონტაქტი მოხდა თავი თავში,ორივე მოთამაშემ მიიღო საკმაო დაზიანება, ლელოს N14 გიორგი ბოლქვაძეს დაუზიანდა წინა კბილები,ხოლო ბათუმის მოთამაშეს ზურა ნინიძეს ჭრილობა სახის არეში მიღებული აქვს სავარაუდოდ მოწინააღმდეგის კბილებისგან(შესაძლებელია ეს ჭრილობა თავი თავში კონტაქტიდანაც ყოფილიყო გამოწვეული). ეს მომენტი დაფიქსირებული იქნა მხოლოდ ჩემი მხრიდან და შევაფასე როგორც 20წ წითელი ბარათი რადგან მას ქონდა ხელების შემოხვევის მცდელობა,თანაც არ მქონდა შესაძლებლობა ვიდეოზე გადამოწმების,ეს მომენტი შეფასდა ერთი ნახვით ლაივში.
2. ინციდენტის ამსახველი ვიდეო მასალა

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

1. ბათუმის „ბათუმის“ გუნდის ექიმის ცნობა მოთამაშის - ზურა ნინიძის ჯანმრთელობის შესახებ- ზურაბ ნინიძე სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ გადაყვანილ იქნა კლინიკაში. დაუდგინდა ცხვირის ძვლების მოტეხილობა და ჩაუტარდა ცხვირის მოტეხილობის დახურული წესით ჩასწორება. დაენიშნა მოსვენებითი მდგომარეობა 7 დღის განმავლობაში.

დარღვევის/წარმომადგენლის განცხადება

თბილისის „ლელოს“ წარმომადგენლის, ოთარ პაქსაშვილის, განცხადებით გიორგი ბოლქვაძე აღიარებს ბინძური თამაშის ფაქტს და ეთანხმება მსაჯის გადაწყვეტილებას, მომხდარის წითელ ბარათის ტოლფას ქმედებად შეფასების შესახებ. მისი თქმით, ინციდენტის შედეგად გიორგი

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 50

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი

ბოლქვაძეც დაზიანდა და სურვილის მიუხედავად, მეტოქისთვის ბოდიშის მოხდის შესაძლებლობა არ ჰქონია.

ფაქტობრივი მოცემულობზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა

როგორც ვიდეოზე ჩანს, გიორგი ბოლქვაძე ბოჭვის შესრულების დროს არ არის მოხრილი და შეჯახება ხდება მაღალ სისწრაფეში, თავით თავთან კონტაქტით. ინციდენტის შედეგად ზურა ნინიძემ მიიღო ტრავმა სახის არეში, რის გამოც მოუწია მოედნის დატოვება და სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გადაიყვანა კლინიკაში. კლინიკაში მას ჩაუტარდა ქირურგიული ჩარევა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ დაადგინა სრვ სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ის **9.13 მათამაშემ არ უნდა შებოჭოს მოწინააღმდეგე ადრე, გვიან ან სახიფათოდ. სახიფათო ბოჭვა მოიცავს (და არ არის ლიმიტირებული) ბოჭვას ან ბოჭვის მცდელობას მხრების ხაზს მაღლა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბოჭვა იწყება მხრების ხაზს დაბლა** პუნქტის დარღვევა.

თავით თავთან კონტაქტის და ტრავმის სიმძიმიდან გამომდინარე კომისიამ სანქციის საწყის დონედ განსაზღვრა 9.13 პუნქტის ზედა ზღვარი.

გადაწყვეტილება

ბინძური თამაში	აღიარებულია <input checked="" type="checkbox"/> დადგენილია <input type="checkbox"/> არ არის დადგენილი <input type="checkbox"/> სხვა (აღნიშნეთ) <input type="checkbox"/>
წითელი ბარათის ტოლფასი ქმედება	აღიარებულია <input checked="" type="checkbox"/> დადგენილია <input type="checkbox"/> არ არის დადგენილი <input type="checkbox"/> სხვა (აღნიშნეთ) <input type="checkbox"/>

სანქციების პოცესი

სრვ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.1 პუნქტის მიხედვით

დარღვევის სიმძიმის შეფასება

განზრახვის შეფასება– 5.1(ა)-(ბ)

შეგნებული/წინასწარ განზრახული

წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 50

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი

დარღვევის გამოწვევი მიზეზები/გარემოებები
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი): 5.1 (დ)
პროვოცირების არსებობა 5.1 (ე)
არა
სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული 5.1 (ვ)
არა
ჰქონდა თუ არა მოთამაშის მხრიდან ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა): 5.1 (ზ)
არა
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა): 5.1 (თ)
ველარ გააგრძელა თამაში
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე 5.1 (ი)
დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა: 5.1 (კ)
შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა: 5.1 (ლ)
დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი. 5.1 (მ)

დარღვევის სიმძიმის ზღვარი.
სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით

საწყისი ზღვარი		
ზედა ზღვარი* <input checked="" type="checkbox"/>	შუა ზღვარი <input type="checkbox"/>	ქვედა ზღვარი <input type="checkbox"/>
10 კვირა/თამაში	კვირა/თამაში	კვირა/თამაში

*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის. 5.3

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:
დაზიანებულმა მოთამაშემ ველარ შეძლო თამაშის გაგრძელება, დასჭირდა ქირურგიული ჩარევა.

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 50

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი

შესაბამისი შემამსუბუქებელი გარემოებები სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.7

დამრღვევის მიერ დანაშაულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო; (5.7ა))	დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;(5.7ბ))
გულწრფელი წუხილი გამოთქვა	სუფთა სადისციპლინო ისტორია
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდლობა;(5.7გ))	ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში; (5.7დ))
ახალგაზრდა, 21 წლის	
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;(5.7ე))	ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება (5.7გ))
სურვილი ჰქონდა, არ მიეცა შესაძლებლობა	

დაკლებული კვირების/თამაშების რ-ბა:

5

კვირების/თამაშების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა :

შესაბამისი შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.8) სადისციპლინო კომისიამ მიიღო სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ის **9.13** პუნქტის დარღვევისთვის ზედა ზღვრით განსაზღვრული საწყისი სანქციის 50%-თ შემცირების გადაწყვეტილება.

შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებები: სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.5

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია; (5.5 ა))
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება; (5.5 ბ)) (პერსონალური/გუნდური გაფრთხილება)
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება; (5.5 გ))

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 50

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი

დამატებითი კვირების/თამაშების რ-ბა:

სანქცია

- სანქცია მოიცავს სადისციპლინო პროცესის დასრულებამდე(სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.6) მოთამაშეების/პიროვნებების შეყოვნების პერიოდში შესულ თამაშ(ებ)ს/პერიოდს.

დისკვალიფიკაცია (კვირა/თამაში)სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე)	5 (ხუთი) კვირა/თამაში	წითელი ბარათი საკმარისია <input type="checkbox"/>
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	12/02/2026	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	დიდი 10-ის XVIII ტურის ჩათვლით	
დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები.	გორი -ლელო (15/02/2026), ლელო- ყაზბეგი (20/02/2026), წიქარა- ლელო(28/02/2026), ხვამლი- ლელო (14/03/2026), ლელო- არესი (21-22/03/2026)	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.21 ბ)		

- სადისციპლინო სანქციის მოქმედების პერიოდში, დასჯილ მოთამაშეს/პიროვნებას თამაშის დროს ეკრძალება რაიმე სახის აქტიუობა სათამაშო პერიმეტრში რაგბის თამაშის ნებისმიერ დონეზე. (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.3)

თავმჯდომარე	დავით შუბითიძე	თარიღი	12/02/2026
ხელმოწერა			

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება [2024-10-31T20-32-08.971Z202324.pdf](https://www.rugby.ge/2024-10-31T20-32-08.971Z202324.pdf)